



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გეოლოგიური განათლება

გეოლოგიური განათლება, სპეციალისტ გეოლოგთა მომზადების სისტემა. გ. გ., როგორც უმაღლესი განათლების სისტემა, ჩამოყალიბდა XIX ს. II ნახევარში, როდესაც სამთო განათლება დაიყო დამოუკიდებელ სამთო, გეოლ. და მეტალ. განათლების სისტემებად. საქართველოში გ. გ-ს საფუძველი ჩაეყარა თსუ-ში. 1919 დაარსდა მინერ. და პეტროგრაფიის კათედრა (1919 - 57 გამგე - ა. თვალჭრელიძე), 1920 - გეოლ. და პალეონტოლ. კათედრა (1920 - 24, გამგე - ნ. ყიფიანი; კათედრის რეორგანიზაციისა და გაფართოების შემდეგ 1924-72 - ა. ჯანელიძე). თსუ-ის დაარსების (1918) შემდეგ გეოლოგთა მომზადება მიმდინარეობდა საბუნებისმეტყველო ფაკ-ტებზე, (ზოგადი საბუნებისმეტყველო განათლების ფარგლებში, სათანადო სპეციალიზაციით. ინჟინერთა (მ. შ. ინჟინერ-გეოლოგთა) პირველი გამოშვება 1928 ჩატარდა თსუ-ის პოლიტექ. ფაკ-ტზე (აქ 1926 დაარსდა გამოყენებითი გეოლ. კათედრა, 1926-37 გამგე - კ. გაბუნია). 1928-იდან გამოყენებითი გეოლ. კათედრა გადავიდა ახლადაარსებულ საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. 1928 ა. თვალჭრელიძისა და ა. ჯანელიძის ხელმძღვანელობით ინ-ტში გაიხსნა შესაბამისი კათედრები. 1954 დაარსდა ჰიდროგეოლ. და საინჟინრო გეოლ. (გამგე 1954 - 74 - ი. ბუაჩიძე), 1955 - ნავთობისა და აირის გეოლოგიისა და დაბზვერვის (გამგე 1955-87 - ა. ლალიევი) კათედრები, 1930-32 ინჟინერ-გეოლოგთა მომზადება მიმდინარეობდა პოლიტექ. ინ-ტის რამდენიმე ინ-ტად გაყოფის შემდეგ დაარსებულ ამიერკავკ. სამთო-ქიმ. ინ-ტში, 1933-36 - ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტში, ხოლო 1936-იდან საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში (ამ ინ-ტში არსებული სამთო-გეოლ. ფაკ-ტი 1968-იდან გაიყო დამოუკიდებელ სამთო და გეოლ. ფაკ-ტებად). თსუ-ში დამოუკიდებელი გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი დაარსდა 1934. გეოლოგთა პირველი გამოშვება იყო 1936.

ამჟამად საქართველოს ტექ. უნ-ტის სამთო-გეოლ. ფაკულტეტი ამზადებს შემდეგი სპეციალობის ინჟინრებს: გეოლოგიური აგეგმვა და ძებნა-ძიება; ჰიდროგეოლოგია და

საინჟინრო გეოლოგია; სასარგებლო წიაღისეულის ძებნა-ძიება, ტექნიკა და ტექნოლოგია, სამშენებლო მოსაპირკეთებელი, საიუველირო ქვების შესწავლა, მყარი და თხევადი საბადოების დაძიება, და მარაგების გამოთვლა, ეკონომიკა და მართვა სამთო საქმესა და გეოლოგიაში და გეოტურისტული მარშრუტების დაგეგმვა. თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტბე გეოლოგებს ამზადებენ 2 სპეციალობით: გეოლ. აგეგმვა და ძებნა-ძიება. გეოლ. დისციპლინები ისწავლება თსუ-ისა და საქართვე. ტექ. უნ-ტის ზოგიერთ ფაკ-ტბე, პედ. ინ-ტებში.

ვ. ჯავრიშვილი
